გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა
სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:
„ტურიზმი და მენეჯმენტი: გამოწვევები და პერსპექტივები“

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

2022 წელი

სარჩევი

მარიამ თურქაძე 3
,,თბილისში ველნეს ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები პოსტპანდემიურ პერიოდში“
ანა ჩაჩავა 4
ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში
სალომე ლომიძე 5
რაჭის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები
ნინო ლევიცკი 6
საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და პერსპექტივები სვანეთის მაგალითზე
ანა გედენიძე 7
ტურიზმი და მენეჯმენტი: გამოწვევები და პერსპექტივები
გიორგი გოგინავა 9
ტურიზმისა და ლოჯისტიკის კოლაბორაცია
ეთერ თეგაძე 10
სოფლის მეურნეობა და ტურიზმი საქართველოში
ანი ბეგოიძე 11
სამთო-სათხილამურო კურორტები და COVID 19 პანდემია
ნიკოლოზ მერეხიშვილი 12
დაცული ტერიტორიები, როგორც ეკოტურისტული ბიზნესის განვითარების შესაძლებლობა საქართველოში
ანა ბაჟუნაიშვილი 13
ცხოვრების ჯანსაღი წესი და კოვიდ-19 ის პანდემია
ლიზი ძიმისტარიშვილი 14
ჩვეულებრივი სოფლიდან ეკოტურისტულ ადგილამდე
თეონა რეხვიაშვილი 16
ღვინის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები რაჭაში
თათია თავბერიძე 16
გამოწვევები ღვინის ტურიზმის სექტორში
მენაბდიშვილი გოგა 18
თემატური ტურების მოდელირება მსოფლიოსა და საქართველოში
ალექსი მიქელაშვილი 19
რელიგიური ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში
მამუკა თურმანიძე 20
ბათუმის ბულვარის ტურისტული პოტენციალი

მარიამ თურქაძე
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა
ტურიზმის პროგრამის IV დონის სტუდენტი

თბილისში ველნეს ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები პოსტპანდემიურ პერიოდში

ხელმძღვანელი - **გიგი ყუფარაძე**

1. ადამიანს სურს ჯანმრთელობისა და საკუთარი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. სურს განტვირთვა და ამისთვის ეძებს ადგილს, სადაც შეუძლია იგრძნოს ერთიანობა ბუნებასთან. სჭირდება მოგზაურობა, რათა აღდგინოს სასიცოცხლო ძალები, დაძლიოს სტრესი, ვინაიდან შინაგანი სიმშვიდე შეინარჩუნოს და ამავდროულად გაიუმჯობესოს კეთილდღეობა. სწორედ ველნეს ტურიზმია ის, რაც მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს როგორც უცხოელ ტურისტს, ასევე ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს.

2. საქართველო მდიდარია თავისი ბიომრავალფეროვნებით, მინერალური და თერმული წყლით, სამკურნალო ტალახის საბადოებითა და სამკურნალო კლიმატით. ამ მრავალფეროვნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის დედაქალაქ თბილისს და აქ მდებარე ბალნეოლოგიურ კურორტს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა სახის სპა და ველნეს მომსახურებებს. ასევე, აქ ბოლო წლებში შეიქმნა თანამედროვე სპა ცენტრები, როგორიცაა ბიოლი, სამ რაანი, ჯინო ფერედაიზი, ანა სიმონეს სპა და სხვა.

3. XXI საუკუნეში კოვიდ 19-ის პანდემიამ უდაოდ ცუდი გავლენა მოახდინა ადამიანის ჯანმრთელობაზე. გაიზარდა ფსიქოლოგიური პრობლემები, როგორიც არის: სტრესი და შიში. მნიშვნელოვნად დაზარალდა ადამიანის როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი კეთილდღეობა. პანდემიის შედეგად მოხდა ვიზიტორთა რაოდენობის შემცირება და შესაბამისად ტურისტული შემოსავლების კლება. მეორეს მხრივ, მან ნამდვილად გააძლიერა ტენდენცია ცხოვრების ჯანსაღი წესისკენ სწრაფვისა. მეტად მიექცა ყურადღება ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

4. საქართველო ნელი ნაბიჯებით, თუმცა მაინც, უბრუნდება ნორმალური ცხოვრების ტემპს. თბილისს უამრავი გამოწვევის მიუხედავად, რეალურად აქვს პოტენციალი, რომ განავითაროს ველნეს ტურიზმი. აღნიშნულის თქმის საფუძველს, პირველ რიგში, იძლევა ის ჰიდროთერმული რესურსები, რომელიც დედაქალაქსგააჩნია. ქალაქი, პირდაპირ დგას თერმულ მინერალურ წყლებზე.

5. სამწუხაროდ, უნდა დავასკვნათ ისიც, რომ დღეისათვის ველნეს ტურიზმისათვის თბილისის ჰიდროთერმული პოტენციალის გამოყენება შორსაა სასურველი დონისაგან. არ

არის შემუშავებული თბილისის ჰიდროთერმული რესურსების განვითარების გეგმა. ხშირ შემთხვევაში, გოგირდის აბანოებისა და თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის მუშაობა ორიენტირებულია ვიწრო აუდიტორიაზე და საჭიროებს უფრო აქტიურ მარკეტინგულ აქტივობებს.

ანა ჩაჩავა
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა
ტურიზმის პროგრამის IV დონის სტუდენტი

ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - **მაკა ფირანაშვილი**

1. ეკოტურიზმი ეს ერთადერთი მიმართულებაა ტურიზმის ინდუსტრიაში, რომელიც დაინტერესებულია მთავარი რესურსის, ბუნების, შენარჩუნებაში. ეკოტურიზმი (ანუ მწვანე ტურიზმი) არის ტურიზმის მდგრადი ფორმა, რომელიც ფოკუსირებულია ისეთი ბუნებრივ ტერიტორიებზე მისვლასთან, სადაც არ არის ანთროპოგენური ჩარევები.

2. ეკოტურიზმის ძირითადი პრინციპებია: 1) ეს არის მოგზაურობა ბუნებაში, სადაც ძირითად როლს თამაშობს ცოცხალი ბუნებისა და ადგილობრივი კულტურისა და ადათ-წესების გაცნობა. 2) „არ დატოვო შენი კვალი“ (თუ როგორ უნდა მოიქცეს ტურისტი ბუნებაში არ დაანაგვიანოს ბუნება და დაიცვას უსაფრთხოების წესები - ჩააქროს კოცონი, არ დაყაროს საყოფაცხოვრებო ნარჩენები, პოლიეთილენის ბოთლები, არ დაამსხვრიოს მინა და ა.შ. 3) უნდა დაეხმაროს ბუნების დაცვას და ადგილობრივი სოციალურ-კულტურულ არეს, არ უნდა ჩაერიოს ეთნოკულტურაში, მაგრამ იყიდოს პროდუქტი და ხელნაკეთი ნივთები, რითაც ეკონომიკურ სარგებელს მიიღებენ ადგილობრივი მაცხოვრებლები. 4) ეკოლოგიური განათლება და მისი პრინციპების გავრცელება/ცნობიეირების ამაღლება (მაგ: მესტიის რაიონში ხდება ბუნების დაცვის პროპაგანდა - სკოლებში ბავშვები ატარებენ აქციებს ბუნების დაცვისთვის ეგიდით. 5) ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის მიღება ტურისტულ მოღვაწეობაში, რაც უქმნის მათ ეკონომიკურ სტიმულს. 6) ეკონომიკური ეფექტურობა და წვლილი მდგრად განვითარებაში იმ რეგიონებში, სადაც არის ეკოტურიზმი.

3. საქართველოში ეკოტურიზმის პოტენციალი ძალიან დიდია, კერძოდ არის: 14 ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი, 41 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტი. ძალიან საინტერესო მარშრუტებია ზემო სვანეთში (მესტია, უშგული-2200 მეტრი ზღვის დონიდან), რაჭაში, ხევსურეთში, ყაზბეგში და ა.შ. 21-ე საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემად და გამოწვევად კვლავ ეკოლოგიური პრობლემები რჩება, რაც ხშირ შემთხვევაში გარემოს დაცვის საკითხების მიმართ ჩვენი დაუდევრობის, დაბალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის შედეგია. აუცილებელია ამაღლდეს მოქალაქეების

თვითშეგნება, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი დაბინძურებული, საფრთხის მომცველი კერების შექმნა ჩვენს გარშემო.

4. ტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის აღიარებულ სექტორს და საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობის ლიდერს. ამ დარგის ფუნქციონირების ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ფაქტორების ანალიზს, განვითარების თავისებურებისა და ტენდენციების შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის.

სალომე ლომიძე
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა,
ტურიზმის პროგრამის IV დონის სტუდენტი

რაჭის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაკა ფირანაშვილი

1. რაჭის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, მიმზიდველი ბუნება, კლიმატური პირობები, მთის სუფთა ჰაერი, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეების სიხშირე, კულტურული ძეგლების სიმრავლე, მინერალური წყლებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების სიუხვე ქმნის უნიკალურ პირობებს სხვადასხვა სახის ტურიზმის (კულტურული, ეკოლოგიური, სათავგადასავლო ღვინის ტურიზმის და სხვა) განვითარებისთვის.

2. რეგიონის კურორტებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა შოვისა და უწერის კურორტები კლიმატისა და მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებით. შესაძლებელია კურორტ შოვის სამთო-სათხილამურო კურორტად გარდაქმნა, რის შემდეგაც კურორტი შეძლებს დამსვენებელს წელიწადის ნებისმიერ დროს მოემსახუროს და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანოს.

3. ტურისტული პროდუქტის ფორმირების კანონზომიერებების გაგებისათვის საჭიროა ტურისტული რესურსების კომპლექსური შეფასება, რაშიც ვგულისხმობთ როგორც ძირითადი ტურისტულ რესურსების (ატრაქციები, განთავსების ობიექტები და ტრანსპორტი), ასევე იმ ფაქტორების შეფასებას, რომელიც აუცილებელია ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად. რაჭის რეგიონში ტურიზმის განვითარებას ხელს უშლის ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა და ინვესტიციების ნაკლებობა. ამჟამად, რეგიონის კურორტების

უმრავლესობის ინფრასტრუქტურა მთლიანად მოშლილია და სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს. ტურისტული ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალი დონე რეგიონის მცირემიწიანობა, დამრეცი რელიეფი და ფართობების ფრაგმენტაცია, აგროწარმოებისა და ლოჯისტიკის განვითარების არასათანადო დონე პრობლემებს ქმნის რეგიონში ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის.

4. ბუნებირვია, ბოლო პერიოდის განავლობაში ეპიდემიების გავრცელება უარყოფითად აისახა რეგიონის ტურისტული მდომარეობის სტაბილიზაციაზე, რაც გამოიხატება ტურისტების ნაკადის შემცირებით, დაახლოებით 60-70%-ით ვიდრე წინა წლებში.

5. მიუხედავად პანდემიისა და სხვა რიგი პრობლემების გათვალისწინებით რაჭას აქვს პოტენციალი სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარებისთვის. მისასალმებელია ინვესტორების გაზრდილი ინტერესი რეგიონის ტყისა და წყლის რესურსების, წიაღისეულის და ტურისტული პოტენციალის მიმართ. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ქალაქ ამბროლაურში ფუნქციონირება დაიწყო ტურიზმის საინფორმაციო ცენტრმა, რომლის ძირითადი ამოცანა შესაბამისი ინვესტიციების მოძიება და სხვადასხვა სახის ტურისტული მარშრუტების შედგენაა. ბუნებირვია ყოველივე ეს რაჭის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების განვითარებას შეუწყობს ხელს.

ნინო ლევიცკი
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა,
ტურიზმის პროგრამის IV დონის სტუდენტი

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და პერსპექტივები სვანეთის მაგალითზე

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი **მაკა ფირანაშვილი**

1. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ტურისტული ქვეყანაა. ვიზიტორებისთვის ერთგვარი აღმოჩენა, რომელიც თავისი პოტენციალითა და მრავალფეროვნებით ქვეყნის განმეორებით მონახულების სურვილს აღძრავს. დიდი და მცირე კავკასიონის მაღალმთიანი რეგიონები განსაკუთრებით მიმზიდველია გარე და შიდა ტურიზმისთვის. მაღალმთიანი დასახლებები გამოირჩევა როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის კურორტებით, კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული, არქეოლოგიური და ბუნებრივი ძეგლებით. ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის სახელმწიფოც და კერძო სექტორიც არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას და საინვესტიციო პროექტს ახორციელებს.

2. მაღალმთიან რეგიონებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სვანეთი, როგორც შიდა, ასევე გარე ტურიზმის განვითარებისთვის. აქ შეგვიძლია მოვინახულოთ 113 ტურისტული ადგილი. თანამედროვე სვანეთი ტურიზმის მხრივ განვითარებული საკურორტო ზონაა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის როგორც საქართველოს მთავრობას, ასევე ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ მესტიის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს (LAG)-ს. ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი აქტიურად არის ჩართული საგრანტო კონკურსით მხარდაჭერილი პროექტების შერჩევისა და პოპულარიზაციის საკითხში.

3. LAG-ის ახალგაზრდული ფრთა კი აგრძელებს ინიციატივების პოპულარიზაციასა და მხარდაჭერას, ასევე პროექტის შედეგების გაცნობას ფართო აუდიტორიისთვის. ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრებმა ასევე აქტიურად დაიწყეს სხვადასხვა თემში საზოგადოებისთვის საჭირო და რელევანტურ საკითხებზე მოსახლეობისთვის ინფორმაციების მიწოდება ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების სახით. ტრენინგის ფარგლებში, (LAG)-ის წევრებმა მოამზადეს ტრენინგ მოდულები და გამართეს სხვადასხვა თემებზე, როგორიცაა აგროტურიზმი, პროფესიული ორიენტაცია და კარიერული დაგეგმვა, სოციალური კამპანია და რესურსების მოძიება. გარდა ამისა, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი აქტიურად არის ჩართული მესტიისა და სხვა მთიანი რეგიონების ტერიტორიული ბრენდირების სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში.

4. ზემოთხსენებული ორგანიზაცია (LAG) ნათლად გვიჩვენებს რეგიონის განვითარების თანამედროვე ტენდენციას. დროის სვლასთან ერთად განვითარდა არსებული ინფრასტრუქტურა, რესტავრაცია ჩაუტარდა ისტორიულ ძეგლებს, შეიქმნა არაერთი სახელმწიფო და კერძო სექტორი, აქტიურად მოხდა ადგილობრივი მაცხოვრებლების ჩართულობა ბიზნეს სეგმენტში. დღეს თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სვანეთი არის ერთ-ერთი პოტენციურად განვითარებული ტურისტული ზონა, თავისი ულამაზესი ბუნებრივი პირობებით და მრავალფეროვანი საკურორტო შესაძლებლობებით.

ანა გედენიძე
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი)
IV დონის სტუდენტი

ტურიზმი და მენეჯმენტი: გამოწვევები და პერსპექტივები

ხელმძღვანელი: **ნინი ცხოვრებაშვილი**

1. ტურიზმის სექტორი მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა,ამაზე მიუთითებს ის ფაქტი რომ პანდემიამდე, 2019 წელს, მსოფლიო მშპ-ს 10.4%-ს(აშშ) ტურიზმი შეადგენდა.

2. თანამედროვე სამყაროში მომსახურების სფეროს ზრდასთან ერთად ყოველდღიურად ვითარდება ტურიზმი. ამ სექტორის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენები. ტურიზმის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა მსოფლიოში არსებული პანდემია,პოლიტიკური კონფლიქტები სხვადასხვა ქვეყნებს შორის, ეკონომიკური პრობლემები, ეს და სხვა ფაქტორები აფერხებენ ამ მიმართულების წინსვლას.

3. გარე ფაქტორების გარდა განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს: გაუმართავი ინფრასტრუქტურა, მოუწესრიგებელი სატრანსპორტო სფერო, ეკონომიკური არასტაბილურობა, მომსახურების ხარისხის არასათანადო დონე, ამ ფაქტორების ერთობლიობა კი ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას ქვეყანაში.

4. ბოლო პერიოდმა დაგვანახა რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის ტურიზმი. აღსანიშნავია ის რომ შიდა ტურიზმის განვითარება გახდა განსაკუთრებით აქტუალური,რადგან გარემოში მიმდინარე პროცესებისადმი შიდა ტურიზმი შედარებით ნაკლებად მგრძნობიარეა , უფრო დაბალბიუჯეტიანი და მოგზარურობის მეტი შესაძლებლობა,რაც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის განვითარებას უწყობს ხელს. ქვეყანას რომელსაც მატერიალური თუ ადამიანური რესურსი გააჩნია ვფიქრობ შიდა ტურიზმის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს.

5. ტურიზმის სფეროში მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების მაგალითების გამოყენებით შესაძლებელია ამ დარგის მეტად განვითარება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის რომ შევძლოთ იმ პოტენციალის გამოყენება რომელიც გაგვაჩნია საერთაშორისო თუ შიდა ტურიზმში, მაგალითად: რელიგიური ტურიზმის,ღვინის ტურიზმის,სათავგადასავლო თუ სამთო ტურიზმის მიმართულებით. მომსახურების ამ სექტორის განვითარებით ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გავხდეთ ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა რეგიონში.

გიორგი გოგინავა
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა
ტურიზმის პროგრამის IV დონის სტუდენტი

ტურიზმისა და ლოჯისტიკის კოლაბორაცია

ხელმძღვანელი : მოწვეული პროფესორი **ლია ყანჩაველი**

1. საინტერესოა საკითხი,თუ როგორ მოქმედებს ლოჯისტიკა ტურიზმის სექტორზე და პირიქით? როგორც ყველამ ვიცით, პანდემიის დაწყებისთანავე, ამ სამყაროში ყველა სექტორი და ნივთი დაკავშირებულია ლოჯისტიკასთან, განვმარტოთ, თუ რა გზით არის დაკავშირებული ლოჯისტიკა და ტურიზმი.

2. ლოჯისტიკა ტურიზმში არის მეცნიერება ტურის ფორმირების პროცესში შესრულებული ოპერაციების დაგეგმვის, კონტროლისა და მართვის, მზა პროდუქტების მომხმარებლამდე მიტანის, ამ უკანასკნელის ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე შესაბამისი ინფორმაციის დამუშავების, გადაცემის, და შენახვის პროცესი.

3. ტურისტულ კომპანიებში ლოჯისტიკური აქტივობები ხელს უწყობს მომხმარებლების, მომსახურე პერსონალის, ბიზნესმენების, მომწოდებლებისა და საზოგადოების გამოცდილების გაუმჯობესებას და კმაყოფილებას, სადაც განვითარებულია ტურისტული აქტივობა, იგი წარმოადგენს ბიზნესის მართვის ეფექტურ ინსტრუმენტს, რომელიც მატებს ტურიზმის ღირებულებას.

4. ტურიზმის ლოჯისტიკა მიზნად ისახავს დარგის ძირითადი საქმიანობის მხარდაჭერას. ტურისტული კომპანიების შემთხვევაში საუბარია ისეთი სერვისების მიწოდებაზე, რომელიც ავსებს ერთმანეთთან ისეთ ძირითად საქმიანობას, როგორიცაა სასტუმრო, რომლის არსებითი ფუნქციაა ტურისტების მასპინძლობა; რესტორანი, რომლის ძირითადი ფუნქციაა საკვების წარმოება და მომსახურება; ტურისტული სააგენტო, გთავაზობთ ტურისტულ პაკეტებს და ექსკურსიებს მიმზიდველ ადგილებსა და ტრანსპორტში, სხვა ტიპის კომპანიებთან ერთად.

5. ტურიზმსა და ლოჯისტიკას შორის ურთიერთობა ძირითადად ორიენტირებულია მომარაგების, უზრუნველყოფის, მიწოდებისა და გადაადგილების,შეფუთვის აქტივობებზე, აქტივობებზე, რომლებიც აისახება მგზავრების ტრანსპორტირებაზე, კვებაზე, განთავსებასა და მატერიალურ მხარდაჭერაზე ტურისტული პროგრამებისთვის, ღონისძიებებისთვის.

6. ლოჯისტიკის ელემენტები შეიძლება ორგანიზებული იყოს ერთ სისტემაში, რომელიც ადაპტირებულია თითოეულ მოვლენაზე, იგი საშუალებას იძლევა მომხმარებელთა, პროდუქტებისა და საშუალებების შეკვეთის და მიწოდების, გარემოს, კომუნიკაციისა და მისი საჭიროებების სასარგებლოდ იმოქმედოს.

7. ლოჯისტიკაც და ტურიზმიც ერთსა და იმავე პარადიგმებზეა დაფუძნებული: დაპირებებისა და შესრულების გენერაცია მომხმარებელთა დაკმაყოფილებით, სადაც მომსახურება უნდა იყოს საჭირო დროს, სწორ ადგილას და სწორ ხარისხში.

8. ლოჯისტიკის ოქროს წესი: საჭირო პროდუქტი-მომსახურება, საჭირო ხარისით, საჭირო რაოდენობით, საჭირო დროს, საჭირო ადგილზე, საჭირო ტრანსპორთით, საჭირო შეფუთვა-დასაწყობებით, საჭირო ღირებულებით.

ეთერ თეგაძე
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნეს ადმინისტრირება (მარკეტინგი)
IV დონის სტუდენტი

სოფლის მეურნეობა და ტურიზმი საქართველოში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნათია დაღელიშვილი

1. საქართველოს ბუნება განთქმულია საოცარი გეოგრაფიული და ბიოლოგიური მრავალფეროვნებით. აქ ბევრი სახეობის სოფლის მეურნეობის დარგს იხილავთ. ყველაზე მთავარი, რითიც დღეს საქართველო მსოფლიოში ცნობილი გახლავთ არის ვაზი, იგი საქართველოში ათასწლეულის განმავლობაში იზრდებოდა და არქეოლოგიური მტკიცებულებებით ვარაუდობენ, რომ პირველად ღვინო საქართველოში 8000 წლის წინ დაამზადეს. ასევე საქართველოში 2 ათასზე მეტი მინერალური და თერმული წყაროა. შესაბამისად, ბუნებრივია ასეთ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების დიდი შესაძლებლობებია.

2. სოფლის მეურნეობის განვითარების პირველი ეტაპია საჭირო საფუძველის შექმნა, რაშიც იგულისხმება სასოფლო-სამეურნეო დარგების ცალკეული განვითარება, მაგალითად აგროქიმიის, ნიადაგმცოდნეობისა და ზოოტექნიკის განვითარება, ან მინიმუმ იმ საფერხურცე აყვანა, რაც საკმარის პირობებს შეუქმნის მეწარმეს აწარმოოს საჭირო პროდუქტი და განავითაროს ტურიზმი სოფლის მეურნეობის განხრით.

3. საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია განვითარდეს ადგილობრივი მევენახეობაც. ტურიზმისთვის მნიშნელოვანი საგანი შეიძლება იყოს პატარა მარნებიც კი. როგორც ავღნიშნე საქართველო უკვე ცნობილია ღვინით, შესაბამისად ყოვლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ საქართველოში სადაც კი ტურისტს ხელი მიუწვდება, ყველგან საუკეთესო ღვინით უმასპინძლონ. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია რომ სამეგრელოში არსებობდა ყურძნის ჯიშები, რომლის აღდგენაც შესაძლებელია, თუ ეს მოხდება, კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადაიდგმება საქართველოში ტურიზმის განვითარებისკენ.

4. საქართველოში მნიშვნელოვანი სამუშაოებია გასაწევი ახალი ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად. გარდა ვაზისა, შესაძლებელია რომ განვითარდეს სხვა მრავალი სამეურნეო დარგი საქართველოში, რაც მოიზიდავს ტურისტებს.

5. სოფლის მეურნეობის განვითარებით მოვიზიდავთ ისეთ ტურისტებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან მსოფლიო სამეურნეო ტენდენციებით, ასეთი საზოგადოების შეკრებით საქართველოს სხვა ბევრი შესაძლებლობაც გაუჩნდება, განვითარდეს როგორ მწარმოებელი ქვეყანა.

ანი ბეგოიძე
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა
ტურიზმის პროგრამის IV დონის სტუდენტი

სამთო-სათხილამურო კურორტები და COVID 19 პანდემია

ხელმძღვანელი: **გიგი ყუფარაძე**

1. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სათავგადასავლო ტურიზმის გლობალურ ანგარიშში (UNWTO-Global Report on Adventure Tourism) აღნიშნულია, რომ თხილამურებით სრიალი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული აქტივობა.

2. UNWTO-ს თანახმად „თხილამურებითა და სნოუბორდით სრიალი მსოფლიოს მრავალ კუთხეში არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ზამთრის გართობა, ხოლო ისეთ ქვეყნებში როგორიცაა ნორვეგია, ავსტრია და შვეიცარია მოსახლეობის 25% მეტი აქტიური მოსრიალეა. მოთხილამურეთა 44 % სტუმრობს ალპებს. აღმოსავლეთ ევროპაში კი მიმდინარეობს სათხილამურო კურორტების უპრეცენდენტო მშენებლობა.“ აფრიკის კონტინენტზეც კი არის არის სათხილამურო კურორტი სახელწოდებით: აფრი -თხილამურები

(Afri-Ski). სათხილამურო ტურიზმის ბაზარი მშვენიერი მაგალითია იმისა, რასაც უწოდებენ „თავგადასავლები დღისით, ფუფუნება ღამით“ (“adventure by day, luxury by night”).

3. საქართველო ამ მხრივაც გამორჩეული ქვეყანაა, მუდმივი თოვლით დაფარული მყინვარებით, შესანიშნავი სასრიალო ფერდებით, მრავალფეროვანი ლანდშაფტითა და კლიმატით. ჩვენთან ხუთი სათხილამურო კურორტია: გუდაური, მესტია, ბაკურიანი, გოდერძი და გომარდული. ეს კურორტები ერთმანეთისგან განსხვავდება და ამავდროულად სხვადასხვა რეგიონშია განთავსებული. ქვეყნის მასშტაბიდან გამომდინარე, ტურისტს შესაძლებლობა ეძლევა მოკლე დროში, მოინახულოს ხუთივე კურორტი. კურორტებზე ფასები დაბალია სხვა ქვეყნების ფასეთან შედარებით, ამიტომ ეს ერთ-ერთი დადებითი მხარეა ტურისტების მოსაზიდად.

4. 2000 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იზრდებოდა ტურისტების რაოდენობა. სამწუხაროდ, გამონაკლისი აღმოჩნდა 2020 და 2021 წლები, როდესაც Covid 19 პანდემიის გამო ქართული სათხილამურო კურორტები უბრალოდ დაიკეტა ტურისტებისათვის.

5. 2022 წელს დაიწყო აღდგენის პერიოდი და სეზონი ძალიან კარგი შედეგებით დამთავრდებოდა, რომ არა რუსეთ-უკრაინის ომი, რომელმაც მარტი-აპრილის პერიოდში ტურისტების რაოდენობის მკვეთრი კლება გამოიწვია.

6. პოსტპანდემიურ პერიოდში საჭირო იქნება სახელმწიფოს მხრიდან მარკეტინგული ღონისძიებების გააქტიურება, რათა ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს მიეწოდოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ქართული სათხილამურო კურორტების შესაძლებლობებზე. ასევე, აუცილებელია დაიგეგმოს სეზონის გახანგრძლივების ღონისძიებები, რათა ისინი ოთხი სეზონის კურორტებად გადავაქციოთ.

ნიკოლოზ მერეხიშვილი
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა
ტურიზმის პროგრამის IV დონის სტუდენტი

დაცული ტერიტორიები, როგორც ეკოტურისტული ბიზნესის განვითარების შესაძლებლობა საქართველოში

ხელმძღვანელი: მაია მელაძე

1. ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია, რომელსაც წლებია ქვეყნის განვითარებაში თავისი წვლილი შეაქვს. კორონავირუსის პანდემიამდე

ყოველწლიურად იზრდებოდა ტურისტებისა და მათი დანახარჯების რაოდენობა, მაგრამ პანდემიის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

2. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში ტურისტებს უფრო მეტად იზიდავთ ეკოლოგიურად სუფთა, მშვიდი და მჭიდროდ დაუსახლებელი ადგილები, მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა ეკო ტურიზმზე. „ეკო ტურიზმი'' არის პასუხისმგებლიანი მოგზაურობა, რომლის დროსაც ხდება გარემოს დაცვა და უმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ტურისტები ნებით თუ უნებლიეთ აბინძურებენ გარემოს სადაც მოგზაურობენ, სწორედ ამიტომ წარმოიშვა „ახალი ტიპის ტურისტი", რომელსაც ეკო ტურისტს ვუწოდებთ.

3. საქართველოს ტერიტორიის 9% დაცულ ტერიტორიებზე მოდის და მათი ძირითადი ნაწილი ტყით არის დაფარული. მათი საერთო ფართობი 600,490 ჰა-ს შეადგენს. საქართველოს დაცული ტერიტორიების ვებ გვერდის ინფორმაციით, დღეს საქართველოში 24 აღკვეთილი, 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 13 ეროვნული პარკი, 3 დაცული ლანდშაფტი და 41 ბუნების ძეგლია. საქართველოში პირველი დაცული ტერიტორია - ლაგოდეხის ეროვნული ნაკრძალი, შეიქმნა 1912 წელს. ამ ტერიტორიაზე თქვენ შეხვდებით საქართველოში გავრცელებული მცენარეთა სახეობების დაახლოებით 2/3-ს, უიშვიათესი ჯიშის ცხოველებსა და ფრინველებს.

4. თუ გავითვალისწინებთ, საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიების სიმრავლეს და თითოეული მათგანის უნიკალურობას, ეკო ტურისტული ღონისძიებების დაგეგმვითა და განვითარებით, საქართველოს უდიდესი პოტენციალი აქვს გახდეს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა ამ სფეროში.

ანა ბაჟუნაიშვილი
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა
ტურიზმის პროგრამა, V დონის სტუდენტი

ცხოვრების ჯანსაღი წესი და კოვიდ-19 ის პანდემია

ხელმძღვანელი : **პროფესორი გივი ყუპარაძე**

1. ცხოვრების ჯანსაღი წესი არის ინდივიდუალური ცხოვრების წესი, დაავადების თავიდან აცილებისა და ჯანმრთელობის განვითარების მიზნით. ჯანსაღი ცხოვრების წესი არის ადამიანის ცხოვრების კონცეფცია, რომელიც მიზნად ისახავს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და შენარჩუნებას შესაბამისი კვების, ფიზიკური ფიტნესის, მორალისა და ცუდი ჩვევების უარყოფის გზით.

2. 21-ე საუკუნემ ნათლად დაანახა საზოგადოებას,რომ ელოგოგიური და სოციალური სირთულეების მატებასთან ერთად,საჭიროა ინდივიდის ფიზიკური აქტივობაც გაიზარდოს.საუბედუროდ,ისეთი საარსებო საშუალებები,როგორიცაა წყალი,ჰაერი და მიწა,ისეთივე სუფთა აღარ არის,როგორიც რამდენიმე ათეული წლის წინ იყო,რაც განპირობებულია ტექნოლოგური პროგრესით.ამ საფრთხეების გამო,ადამიანებმა კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ საკუთარ ჯანმრთელობას.ეცადონ,ფორმაში იყვნენ,იმუნიტეტი აიმაღლონ და მოახდინონ დაავადების პრევენცია.

3. დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მსოფლიოში covid-19-ის პანდემიის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევები, რომელიც გლობალურ ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისად იქცა. იბადება უამრავი კითხვა მისი როლისა და გავლენის შესახებ როგორც ახლო, ასევე გრძელვადიან პერიოდში ტურიზმის სექტორზე,რომელმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო covid-19-ისგან, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების კუთხით.

4. დღეს მთელი მსოფლიო ელოდება პანდემიის დასასრულს და ყველამ იცის, რომ ცხოვრება და სამყარო ვეღარ იქნება ძველებური. Covid-19-ის პანდემიამ ადამიანებს ნათლად დაანახა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ჯანმრთელობას, მავნე ჩვევების არარსებობასა და ქრონიკული დაავადებების არარსებობას.

5. ბრიტანულმა მედია-გამოცემა BBC-მ,ჩაატარა კვლევა იმის შესახებ თუ რამდენად ხშირად იღებს ადამიანი ალკოჰოლს მაღალი ფიზიკური აქტივობის პარალელურად.
23% თვლის,რომ ალკოჰოლის ხშირი მოხმარება არ უშლის ხელს ჯანსაღ ცხოვრებას.
27% თვლის,რომ თვეში 4 ჯერ ალკოჰოლის მიღება,უკეთესიცაა ჯანმრთელობისთვის.
29% ეთანხმება წლის განმავლობაში რამდენჯერმე მიღებას.
21% თვლის,რომ ალკოჰოლი პირველი ანტითეზაა ჯანსაღი ცხოვრების.

6. გამოკვლევამ აშკარა გახადა ის ფაქტი,რომ ადამიანებს სჭირდებათ უფრო მეტი ზოგადი განათლება ჯანსაღ ცხოვრებასა და იმ ცუდ ჩვევებზე,რომლებიც მას ხელს უშლის.

ლიზი ძიმისტარიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ბიზნესისა და მართვის სკოლა
ტურიზმის პროგრამის I დონის სტუდენტი

ჩვეულებრივი სოფლიდან ეკოტურისტულ ადგილამდე

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მაია მელაძე

1. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით სამყაროში თითქმის არ არსებობს აღმოუჩენელი ადგილი, არსებობენ, რომლებსაც საკმარისად არ აქცევენ ყურადღებას. ადგილები, რომლებიც ერთ დღეს შესაძლოა ეკოტურიზმის ცენტრები გახდნენ. ამის ერთ-ერთი მაგალითია პატარა, ლამაზი და მომხიბვლელი სოფელი შრომისუბანი გურიაში, ლანჩხუთის რაიონში.

2. შრომისუბანი განსაკუთრებით ლამაზია ზაფხულობით გარშემორტყმული წიფლის, ცაცხვის, მუხის, სოჭის, ჭადრის, თხემლის და სხვა ხეებით. მდინარე სუფსა, რომელზეც შესაძლებელია სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა. სოფელთან ახლოსაა ნასტეფნარი, მაღალი გორაკი, რომელიც სოფელს აღმოსავლეთის მხრიდან გადასცქერის, მისი მწვერვალიდან კარგად ჩანს კოლხეთის დაბლობი. ნასტეფნარზე აღმოჩენილია ვერცხლის მონეტების განძი, როომელიც შედგება 334 თურქული მონეტისაგან და განეკუთვნება მე-16 საუკუნეს. ასევე, შესაძლებელია გორგოშაულის ციხის ნაშთების მონახულება, არსებობს ლეგენდა რომ აქ ძველად თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენცია იყო. ტურისტები შეძლებენ ორკარის კანიონის მონახულებას მეზობელ სოფელში. კანიონის წყალში არის კიბორჩხალები, წვრილი თევზები, ამფიბიები, რაც მის სისუფთავეზე მიუთითებს. არის კლდეზე ცოცვის პერსპექტივაც. აქვეა მღვიმე, რომელიც ძნელად შესამჩნევია მცენარეთა საფარის გამო. ეკოტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მომგებიანი იქნებოდა ტყის გავლით ერთი სოფლიდან მეორესთან დამაკავშირებელი ბილიკების მარკირება. გარდა ამისა, სოფელში ამოდის სამკურნალო გოგირდოვანი წყალი.

3. ვიზიტორები შეძლებენ აგროტურიზმში ჩართვას. რადგან სოფელი დასახლებულია, ისინი ჩაერთვებოდნენ სოფლის საქმიანობაში. შესაძლოა ველო ტურების მოწყობაც, თუ ინფრასტრუქტურა გამართული იქნება, სოფელ კოკათში კი ზიპლაინის გაკეთება. გამომდინარე მცირე მოსახლეობისა და ნაკლები დატვირთვისგან აქ ჰაერიც ძალიან სუფთაა.

4. შრომისუბანსა და მის გარშემო მდებარე სოფლებს აქვთ ეკოტურისტულ ადგილად გადაქცევის პოტენციალი, ამისთვის საჭიროა მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ იქნას კონკრეტული ზომები. ტურისტები დაინტერესებოდნენ ამ ადგილით, რადგან იგი ბათუმისკენ მიმავალ გზაზეა და ახლოსაა ისეთ კურორტებთან როგორებიცაა ურეკი და გრიგოლეთი.

თეონა რეხვიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ტურიზმის პროგრამის მეოთხე დონის სტუდენტი
~

ღვინის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები რაჭაში

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მაია მელაძე

1. საქართველოში ტურიზმი წარმოადგენს მნიშვნელოვნად მზარდ სექტორს, ხოლო ღვინის ტურიზმი ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ მიმართულებას. ახალი უნიკალური გემოების აღმოჩენისა და დაგემოვნების მიზნით მთელი მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო მეტი ტურისტი ერთვება ღვინის ტურებში. ადამიანები მუდმივად ეძებენ სიახლეებს, სწორედ ამიტომ ღვინის ტურიზმი დიდი პოპულარობით სარგებლობს.

2. რაჭა არის რეგიონი, რომელსაც გააჩნია დიდი პოტენციალი ღვინის ტურიზმის განვითარების მხრივ, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია გატარდეს საჭირო ღონისძიებები და დაიგეგმოს განვითარებისთის მთავარი საფუძველი - ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანია სრულად იყოს გამოყენებული ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის რაჭის ყველა რესურსი, როგორიცაა განსხვავებული ვაზის ჯიშები და კარგი გეოგრაფიული მდებარეობა.

3. ღვინის ტურიზმი მეღვინეობის დარგის გავითარებაში დიდ როლს ითამაშებს. ასევე, ხელს შეუწყობს ისეთი პრობლემების მოგვარებას, რომელიც როგორც ქვეყანას ისე რაჭის რეგიონს დიდ საფრთხე უქმნის. ეს პრობლემები შეიძლება იყოს ეკონომიკური და სოციალური. სწორედ ამიტომ ნიშვნელოვანია მეტად განვავითაროთ ტურიზმი და კონკრეტულად ღვინის ტურიზმი.

თათია თავბერიძე
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა
ტურიზმის პროგრამის IV დონის სტუდენტი

გამოწვევები ღვინის ტურიზმის სექტორში

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მაკა ფირანაშვილი

1. მსოფლიოში ტურიზმი ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომელიც ამყარებს და აძლიერებს ეკონომიკას. საქართველო სპეციალიზდება ღვინის ტურიზმზე, რაც ერთ-ერთი პერსპექტიული ნაწილია ზოგადად ტურიზმის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო დროს

მსოფლიო მასშტაბით ძალიან გაიზარდა და დაიხვეწა ღვინის წარმოებისა და კულტურული კოლაბორაციების ფაქტები. ცხოვრებისეულმა ევოლუციამ გაამარტივა და შესაძლებელი გახადა ღვინის, როგორც პროდუქტისგან სარგებლის მიღება.

2. ქართული ღვინის ისტორია საუკუნეებს ითვლის, და სრული პასუხისმგებლობით შეუძლია საქართველოს კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოში წამყვან ღვინის ექსპორტიორ ქვეყნებს. სახელმწიფომ აუცილებელია დააორგანიზოს სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, რითიც შეძლებს უპასუხოს ღვინის ტურიზმის სფეროში არსებულ გამოწვევებს, როგორიცაა:

✓ დაგეგმვა და კონტროლი - ტურისტს მარნებისა და უშუალოდ ღვინის დეგუსტაციის გარდა, სჭირდება განტვირთვა, გართობა და დასვენება. გასათვალისწინებელია, თუ ტურისტი ღვინის სივრცესთან ახლოს შეძლებს დაიკმაყოფილოს მისი შესაძლო მოთხოვნილება, მაგალითად ისარგებლებს სასტუმროთი, შესაძლებლობა ექნება იხილოს რეგიონის ღირსშესანიშნაობები, დაკავდეს სხვადასხვ აქტივობით, განიტვირთოს რესტორნებსა და კაფეებში, ეს მისთვის კომფორტული იქნება, რასაც მოაქვს ეფექტიანობა ტურისტულ სექტორში.

✓ ფინანსები - შეგვიძლია განვიხილოთ მიკრო გარემოს თვალსაზრისით, რომელიც ღვინის წარმოებასთან, საწარმოო ტექნოლოგიებთან, ქვეყნის შიდა დისტრიბუციასთან, მომწოდებლებთან და ა.შ. არის დაკავშირებული, რომ არაფერი ვთქვათ პროდუქტის მსოფლიოში ექსპორტზე.

✓ კონკურენცია - შეიძლება იყოს როგორც წარმატების მომტანი, ცალსახად მარცხის მომტანიც, რომ არაფერი ვთქვათ ხარისხსა და მომსახურებაზე, კომპანიებს სჭირდებათ მარკეტინგი იმისთვის, რომ იყვნენ კონკურენტუნარიანები მსოფლიოში.

3. მინიმალური მარკეტინგული ქმედებები სოციალური მედიის სივრცეში, ურთიერთობების დახვეწა პერსპექტიულ პარტნიორებსა და მომხმარებლებთან, ინფორმაციის შექმნა წარმოდგენისთვის, მაღალკვალიფიცირებული კადრების აყვანა, აქტივების მოზიდვა და საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია წინსვლისთვის. საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციამ 2018 წელს შეიმუშავა ღვინის რუკები ხოლო სახელმწიფოს მხრიდან 2019 წელს შემუშავებული იქნა ღვინის გზის გზამკვლევი.

4. ტურიზმის განვითარების პირველ ეტაპზე კონცენტრაცია უნდა მოხდეს შიდა ტურისტულ ბაზარზე მარკეტინგული მენეჯმენტის სტრატეგიის გამოყენებით, მოთხოვნის ახალი სეგმენტის შექმნითა და შემდგომი გაფართოებით; ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით, პრიორიტეტად გამოიყოს სოფლის ტურიზმის, ღვინის ტურიზმის და სამკურნალო ტურიზმის განვითარება.

მენაბდიშვილი გოგა
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა
ტურიზმის პროგრამის IV დონის სტუდენტი

თემატური ტურების მოდელირება მსოფლიოსა და საქართველოში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი **მაკა ფირანაშვილი**

1. ტურისტული პროდუქტის-ტურის დამუშავების საწყის ეტაპზე ხორციელდება ღონისძიებები ტურისტული მოთხოვნილებების შეფასების და ადგილობრივ ბაზარზე ძირითადი კონკურენტების კვლევისა და ანალიზისთვის. მსოფლიოსა და საქართველოში თემატური ტურების მოდელირებისას მნიშვნელოვანია ღვინის, რელიგიური და კულტურულ-შემეცნებითი ტურები.

2. მსოფლიოსა და საქართველოში რელიგიური ტურების და პილიგრიმების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. მსოფლიოში სამომლოცველოდ და რელიგიური მიზნით მოგზაურთა რაოდენობა წელიწადში დაახლოებით 300 მილიონს შეადგენს. საქართველოში რელიგიური ტურებიდან აღსანიშნავია: „წმ. ნინოს გზა“, „13 ასურელი მამის ნაკვალევზე“, „ანდრია პირველწოდებულის ბილიკი“ და სხვა. ყოველწლიურად მსოფლიოში რელიგიური მიზნებით 150 მილიონზე მეტი ქრისტიანი და 40 მილიონზე მეტი ბუდისტი მოგზაურობს. მსოფლიოში ყველაზე მეტად გამორჩეული რელიგიური ტური არის - იერუსალიმის ტური. მოგეხსენებათ იერუსალიმი სამი მთავარი რელიგიის: იუდაიზმის, ქრისტიანობის და ისლამის წმინდა ქალაქია. შესაბამისად რელიგიური ტურების რაოდენობაც მრავალია იერუსალიმში. აღსანიშნავია რელიგიური ტურიზმის მსოფლიო ბაზარი დღეისთვის 18 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

3. საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია თემატური ტური „ღვინის გზა“, საქართველოში ღვინის დაყენება ტრადიციული გზით საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა. საუკეთესო ღვინით გამორჩეულია კახეთი, სადაც ტურისტებს იზიდავს, არა მხოლოდ ისტორიული ძეგლები, არამედ ტრადიციული სამზარეულო, ღვინის დეგუსტაცია, მოსავლის აღება (რთველი), პურის გამოცხობა და სხვა. საქართველო ვაზის და ღვინის სამშობლოდ არის აღიარებული და ამას მოწმობს ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები, ასევე ადასტურებს არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული წყაროები. ერთ-ერთი და მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ვაზის კულტურის არსებობის საქართველოში გახლავთ, წმინდა ნინოს მიერ ვაზის ჯვრით მოქცევა, რაც ნიშნავს, იმას რომ ვაზი ოდითგანვე წმინდა მცენარედ იყო მიჩნეული.

4. გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული განვითარება შეუძლებელია მსოფლიო ბაზართან ურთიერთობის გარეშე და ქვეყნის შიგა ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის გლობალურ და რეგიონულ დონეზე კოორდინაციის გარეშე. ტურისტული ონლაინ სერვისები წარმოადგენენ ბიზნეს-მოდელების განსაკუთრებულ ვარიანტს, ორიენტირებულნი არიან ტურისტების კონკრეტულ მოთხოვნებზე, რომლებიც წინასწარ ცნობილია. ამიტომ ცხადია ტურისტული სერვისები უნდა ვითარდებოდეს ადამიანთა მოთხოვნების შესაბამისად.

ალექსი მიქელაშვილი
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა
ტურიზმის პროგრამის IV დონის სტუდენტი

რელიგიური ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - **მაკა ფირანაშვილი**

1. რელიგიური ტურიზმი უძველეს ფორმას წარმოადგენს, ის მაშინ ჩაისახა როდესაც შეიქმნა მსოფლიოში რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობა. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მინაცემებით, ტურიზმის ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებებს შორის პირველ ადგილს რელიგიური ტურიზმი იკავებს. საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა გააჩნია. ქრისტიან პილიგრიმთა საქართველოში ჩამოსვლა უმნიშვნელოვანეს მოტივაციად უნდა იქცეს, რადგან საქართველოში იესო ქრისტეს კვართი მცხეთელმა ებრაელებმა ჯვარცმის შემდეგ ჩამოაბრძანეს. ჩვენი ქვეყნის მაღალი სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობა საფუძველს იძლევა იმისა, რომ საკმარისი პოტენციალი გვაქვს რელიგიური ტურიზმის განვითარებისთვის.

2. საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგია პირველ რიგში უნდა გულისხმობდეს ქვეყნის მართმადიდებლური ძეგლებისა და სიწმინდეების, როგორც ტურისტული პროდუქტის წინ წაწევას მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე. აუცილებლად უნდა დაიგეგმოს ახალი კადრების მომზადება და ასევე ძველი კადრების გადამზადება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და პროფესიული უნარ-ჩვევების აღჭურვით. ამ ყველაფერს თან ახლავს დადებითი და უარყოფითი შედეგები. აღნიშნული საკითხის

დარეგულირება აუცილებელია, რადგან საქართველოს უნიკალური ძეგლები დავიცვათ და გადავარჩინოთ.

3. რელიგიურ ტურიზმს საქართველოში არ უნდა მიეცეს მასობრივი სახე, რადგან ამან შეიძლება უარყოფითი შედეგი გვიჩვენოს. სანამ ქვეყანაში არ იქნება მყარი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა, მანამდე აუცილებელია საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დავიცვათ ქვეყნის რელიგიური და კულტურული პოტენციალი.

4. საქართველოში ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებაში გამორჩეული როლი 13 ასურელი მამის მოღვაწეობას ენიჭება. ცამეტ ასურელ მამათა დამკვიდრების ადგილები იქცა ჩვენს ქვეყანაში იმ წმინდა ადგილებად, რომელთა თაყვანისცემას ქრისტიანი მრევლი დღენიადაგ ახორციელებს. საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს რელიგიური ტურიზმის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის განახლების და შენარჩუნების, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის იქნება დამატებითი შემოსავალი და დასაქმების შესაძლებლობა.

5. ყველა ის პრობლემა, რაც საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარებას ახლავს თან არის მოგვარებადი. რელიგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითადი ნაწილი უნდა დაეთმოს ტურიზმის განვითარების უარყოფითი ზეგავლენის შეზღუდვასა და დადებითი შედეგების ხელშეწყობას. აღნიშნული საკითხის დარეგულირება აუცილებელია თუნდაც იმისთვის, რომ ტერიტორიულად პატარა ქვეყნის უნიკალური რელიგიური ძეგლები დავიცვათ და გადავარჩინოთ.

მამუკა თურმანიძე
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ბიზნესისა და მართვის სკოლა
ტურიზმის პროგრამის ??? დონის სტუდენტი

ბათუმის ბულვარის ტურისტული პოტენციალი

ხელმძღვანელი; ასისტენტ-პროფესორი გიორგი უღრელიძე

1. ბათუმი ტურისტული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი მზარდი ქალაქია, რომელსაც ტურიზმის განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს. ტურისტებით ქალაქის დაინტერესებას ხანგრძლივი ისტორია აქვს.

2. ბათუმისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მწვანე სივრცეების არსებობას. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნიდან იღებს სათავეს ბათუმის ბულვარის ისტორია, რომელიც დღეს ტურისტების თავშეყრის მთავარ ადგილს წარმოადგენს.

3. 1881 წლიდან იწყება ქალაქის ზღვისპირა მონაკვეთში პრუსიელი მებაღეების - რესლერისა და რეიერის მუშაობა ბულვარის მოსაწყობად. 1884 წლიდან ბულვარის გამშვენიერებას ფრანგი მებაღე მიხეილ დალფონსი ხელმძღვანელობდა. ბათუმის ბულვარის განაშენიანებასა და განვითარებაში უდიდესი წვლილი აქვს იასონ გორდეზიანს.

4. ბათუმის ბულვარი დიდი ხნის განმავლობაში, ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდებოდა და დღეს წარმოადგენს ვრცელ მწვანე სივრცეს შადრევნებით, ულამაზესი კოლონადით და ქანდაკებებით.

5. ბულვარში ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებები:
ა)აქ არის საზაფხულო თეატრის შენობაც-სადაც შესაძლებელია სხვადასხვა ფესტივალების გამართვა;
ბ)ღია კორტები-სადაც იმართება საერთაშორისო ტურნირები, ვარჯიშობენ სპორტით დაინტერესებული ადამიანები;
გ)იახტ-კლუბი-სადაც შეიძლება პატარა იახტებით ზღვაში გასეირნება;
დ)ვეტერანთა კლუბი, სადაც ადამიანები იკრიბებიან ჭადრაკისა და ნარდის სათამაშოდ;
ე)სავარჯიშო სივრცე - ტრენაჟორები;
ვ)ველო-ტერმინალებში შესაძლებელია ველოსიპედების ქირაობა;
ზ)ტურისტებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ბულვარის ზოოკუთხის ნახვა, სადაც 140-ზე მეტი ბინადარი ცხოვრობს;
თ)ბათუმში ტურისტების მეტი კომფორტისთვის ბულვარის შესასვლელთან მდებარეობს ტურისტული საინფორმაციო ცენტრი - სადაც შესაძლებელია ბათუმში ტურიზმის შესახებ უნფორმაციის მიღება.

6. ამრიგად, ბათუმის ბულვარი წარმოადგენს ტურისტებისთვის უმნიშვნელოვანეს და საინტერესო ადგილს, სადაც ქალაქის სტუმრებს შეუძლიათ შინაარსიანად დაისვენონ და შემეცნებით ღონისძიებებსაც დაესწრონ.